№ 20

კვირა,
20 სექტემბერი
1909 წ.

მომავალი

№ 20

კვირა,
20 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. იდრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერადა დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე, რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

კვირას, 20 სექტემბერს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვის შემდეგ ორმოცი დღის პანაშვიდი მეორე სახელმწიფო დუმის წევრის

სევერიანე მოსეს ძე ჯულელის

მოსაგონებლათ, რასაც აუწყებს ნაცნობ ნათესავთ და ამხანაგებს მეუღლე მისი ალექსანდრა შვილებითურთ

აპციზის მომატების გამო

ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე

50 პროცენტით და 50-ზე მეტით

და თამბაქოს ვიძვ რების ვამო

ბოზარჯიანცის

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ისევ მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

СИМПАТІЯ № 8	10 шт. 6 к.	**НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ**	10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკასაც საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ **მაღალ ღირსების** პაპიროსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გაამაგროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

შენიშვნა: ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივცემულ საზოგადოებას საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აღკრძალულია. (10—3)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დ. ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა თფილისში

ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

გაიხსნა ახალი
თფილისის

კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. ვ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. ვ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით. 100—63

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დალმართი, სახლი № 15.

თფილისი, 20 სექტემბერი.

აზიის უძველესი და უდიდესი სახელმწიფო—ჩინეთი კვლავ იღვიძებს და მთელი თავისი სიძლიერით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის; იგი უკვე რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ შესდგა ამ გზაზე და მედგრათ მიექანება წინ. მან უარყო ძველი დინასტიური ტრადიციები და გულწრფელათ ელტვის განახლებას—გაევროპიელებას. ჩინეთის მცხოვრებთ ყველა დარგში წინსვლა და პროგსესი ეტყობათ. იქ, სადაც ამ ათი-ოცი წლის წინათ ყოვლათ უმნიშვნელო ქალაქები არსებობდენ, ახლა მათ ევროპიელ დიდი ქალაქების ელფერი დაედვათ და თვალსაჩინოთ წინ მიდიან. რკინის გზებით და გაუმჯობესებული გზა-ტკეცილებით მოიფინა მთელი ტერიტორია, სასწავლებლები და სხვა ათასგვარი კულტურული დაწესებულებები რიცხვით გაიზარდა; სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთკვარი ევროპიული გაუმჯობესობა შეიტანეს, სოფლის მცხოვრებნი ტეხნიკურ გაუმჯობესობას ძველებურათ ეჭვის თვალით აღარ უყურებენ. ერთი სიტყვით, მთელი ჩინეთის ყვითელ კანიანი მცხოვრებნი ევროპის ბურჟუაზიულ კულტურის უღელში შეებენ და თავიანთ ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრებაში თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობანი განამტკიცეს.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპიელ და განსაკუთრებით კი, მეზობელ სახელმწიფოებს, ყვითელი კანიანების საფრთხე კვლავ წინ დაუყენა. დღეს იგი ევროპიელების ფარხმალით იარაღდება და მასთან გვერდით ამოდგომას ცდილობს. ეს ამბავი კი აშკარათ იმის მომასწავებელია, რომ დღეს თუ ხვალ, ერთხელ და სამუდამოთ საზღვარი უნდა დაედოს ევროპის სახელმწიფოების ძალ-მომრეობითი პოლიტიკას, რომლებიც მთელი საუკუნის განმავლობაში იეზუიტურათ ცდილობდენ ჩინეთის დანაწილებას, მის ერთმანეთ შორის დაყოფვას, მაგრამ მან მალე თავს უშველა და დაქუცმაცების საფრთხე თავიდან აიცილა. იგი ახლა თითონ ღებულობს კაპიტალისტურ სახელმწიფოს სახეს და სხვას უქადის გაწეულ-ვამოწეწვას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იაპონიამ კაპიტალისტურ სახელმწიფოს ფორმა მიიღო, ჩინეთის უკან ჩამორჩენა და ძველი ნატურალურ წარმოების პიროებებში დარჩენა მოუხერხებელ-შეუძლებელი ხდება. იგი ახლა კაპიტალისტურ წარმოების გზაზე შედგა და უნდა იაპონიას გვერდში ამოუდგეს. დღეს ჩინეთის ნავთ-სადგური ალაგები და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები ეკონომიურათ ისე იზრდებიან, როგორც იაპონიის სავაჭრო ქალაქები. ჩინეთიც დიდი ხანია კაპიტალისტური ქვეყანა იქნებოდა, რომ ის იაპონიასავით კუნძულის სახელმწიფო იყოს, მაგრამ მის ნავთ-სადგურებს და სამრეწველო ცენტრებს გვერდით მობმული აქვთ თვალ გადაუწვდენელი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც დასახლებულია 300—400 მილიონ მცხოვრებ გლეხ-კაცობით, თავიანთ დაძველებულ ეკონომიურ და სოციალური ფორმებით. და ეს უკანასკნელი გარემოება კი მთავარი მიზეზი იყო, რომლის მეოხებითაც ჩინეთის უშველებელ სახელმწიფოს კაპიტალისტურათ გარდაქმნა ნამეტანათ ფერხდებოდა. მაგრამ ამ დაბრკოლების დაძლევაც შესძლო ჩინეთის ხალხმა, ვინაიდან იგი უკვე დიდი ხანია რაც ცენტრალურ სახელმწიფოთ იქნა შედუღებულ-შეერთებული, რომელიც თავის გაერთიანებულ პოლიტიკის საშუალებით უარყოფს ნატურალური წარმოების წესებს და ანვითარებს და ხელს უწყობს თანამედროვე კაპიტალისტურ საქონლის წარმოებას. ყოველი სახელმწიფოებრივი ძალთა კონცეტრაცია კი, როგორც ვიცით, მუდამ და ყოველთვის დამყარებულია საზოგადოების ამა თუ იმ წარმოების ურთიერთობაზე, განისაზღვრება საწარმოვო წესით. სახელმწიფოს ასე თუ ისე გაფართოება, ტერიტორიის გადიდება მუდამ გამოწვეულია სახელმწიფოს მცხოვრებთა წარმოების გაუმჯობესობით. უკეთუ რომელიმე საზოგადოება თუ სახელმწიფო აღჭურვილია თანამედროვე ბურჟუაზიული სიმდიდრით, ტენდენციაც აქვს ყოველთვის თავისი ისტორიული საზღვრები გააფართოვოს და თავისი ბატონობა გააძლიეროს. სუსტსა და წარმოებით განუვითარებელ სახელმწიფოს კი, გაძლიერების და ტერიტორიის გაფართოების მაგიერ ეჭრება ძველი ისტორიული საზღვრები. ასეთი აუცილებელი ბედი ეწია სპარსეთის სახელმწიფოს, ძველ რომაელების იმპერიას, ოსმალეთსა და ისპანიას. თვით რუსეთის აბსოლიუტურ-მონარქიულმა სახელმწიფომ თავისი ექსპანსიური პოლიტიკით საშინელი კრახი განიცადა, ვინაიდან მისი ასეთი პოლიტიკა, ე. ი. მთელი ქვეყნის დაპყრობა, არ იყო გამოწვეული განვითარებული ბურჟუაზიული სახელმწიფოთი, არ იყო დამყარებული ძრიელ განვითარებულ კაპიტალისტურ ინდუსტრიაზე. მართალია, კაპიტალისტური წარმოების წესი, ხმირათ სახელმწიფოს უსაზღვრო განვითარებას განსაზღვრულ ფარგლებს უკეთებს, როგორც ეს მაგ. დიდ ბრიტანიის მსოფლიო სახელმწიფოს მოუვიდა; უკანასკნელმა ვეღარ შესძლო ძველთა-ძველი პოლიტიკის—საზღვრების გადიდება და იძულებული შეიქნა „გონიერი პოლიტიკისთვის“ მიეყო ხელი: გაფართოების მაგიერ ის ახლა უკვე არსებულ ტერიტორიის საზღვრების გამაგრებას-ღა ცდილობს და ამ გზით უნდა ინგლისის ბაზრის უზრუნველყოფა. ასეთია მისი იმპერიალიზმის მიზანი.

ჩინეთის სახელმწიფო კი დღეს-დღეობით ინგლისის იმპერიალიზმის საფეხურზე არ იმყოფება, იგი ახლა აღწევს თავს წვრილ გლეხურ ნატურალურ წარმოების ფორმას და შედის კაპიტალისტურ წარმოების სფერაში და ცდილობს სახელმწიფოს საზოგადოების ბურუზიულათ გარდაქმნას. როგორც ვიქვით, მან უკვე დიდი ნაბიჯი გადადგა. ამ ჟამათ მისი საგარეო საგაჭრო ბალანსი ერთ მილიარდ მანეთს აღემატება; ასე რომ, ჩინეთის ბურჟუაზიული კლასების კაპიტალისტური სიმდიდრის დაგროვებას საგრძნობელათ აუწევია. ნივთიერათ და ქონებრივათ გაძლიერებული ჩინეთის ბურჟუაზ. კლასი ახლა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის და აქეთ-იქით იცქირება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის მისათვისებლათ. მას აღარ ყოფნის ისედაც მჭიდროთ დასახლებული სახელმწიფო, დაბეჯითებით ცდილობს ახალ ტერიტორიების შეძენას. ამ მიზნისათვის იგი უკვე ევროპიულათ იარაღდება და ვაი იმას, ვისაც თავს დაატყდება! ჩინეთის მილიტარული ძალის გაძლიერება, მანჯურიაში ერთნაირი სამზადისი ძალიან საშიში და სახიფათო არის მეზობელ სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით კი რუსეთისათვის, და ეს უკანასკნელიც საგარეო პოლიტიკას დიდის ყურადღებით ექცევა, ვინაიდან ჩინელების ახალ ტერიტორიისკენ გაწვდილი ხელი უპირველესათ მათ თვალ გადაუწვდენელ და დაუსახლებელ მამულებს მოხვდება და ეს გარემოება კი შეატაკებს ამ ორ დიდი ხნის მეგობარ სახელმწიფოებს.

არჩევნები პეტერბურგში.

ხვალ, 21 სექტემბერს პეტერბურგში უნდა მოხდეს სახ. დუმის დეპუტატის არჩევა. რამდენათ უფრო ახლოვდება არჩევნები, იმდენათ უფრო ხმაურობს სატატხო ქალაქი. გაზეთებმა უკვე დაიწყეს უსისხლო ომი. იმართება წინასწარი საარჩევნო კრებები, სადაც ორატორები გაალმასებული ებრძვიან ერთმანეთს. მოგეხსენებათ, რომ საერთო ხელ ჩართულში, ლაჩარსაც კი თავი ვაჟ-კაცათ მოაქვს და აი, კადეტების ლიდერი მილიუკოვი, ერთ-ერთ კრებაზე აცხადებს: რუსეთში თვითმპყრობელობა აღარ არის და კონსტიტუცია არსებობსო. ამ აზრის დასამტკიცებლათ მილიუკოვს ლონდონში გასეირნება დასჭირდა, მაგრამ სანამ ლონდონიდან მოიშველიებდა თავის პოზიციის დასაცველ ყუმბარებს, ბოქაულმა ის უკვე „კონსტიტუციონურათ“ ჩამოაბრძანა ტრიბუნიდან ჯ „კონსტიტუციონურათ“ დახურა დარბაზის კარები თვითნებობის მსხვილი ურდულით და ამაყათ განაცხადა: კონსტიტუცია ლონდონშია, აქ მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი და რას ატყუებთ ან თავს, ან სხვასო.

იმ ქვეყნებში, სადაც სახალხო წარმომადგენელობა დიდი ხნის საქმეა, დამატებითი არჩევნები უმთავრესათ, საზოგადოებრივი ატმოსფერის ბარომეტრია, ის საზომია, რომლითაც ზომავენ თუ საით დაექანა ხალხის სულიერი განწყობილება საერთო არჩევნების შემდეგ. კონსტიტუციონურ ქვეყნებში, თუ რომ დამატებითი არჩევნებზე ლიბერალის მაგიერ კონსერვატორს აირჩევენ, ანდა წინააღმდეგ, ეს ან გაფრთხილებაა მთავრობის, ანდა წახალისება, ნდობის გამოცხადება იმის მიხედვით, თუ რომელ პარტიას უჭირავს ხელში მართვა-გამგეობის საქმე.

რუსეთში, რასაკვირელია, დამატებითი არჩევნები არ შეიძლება ასეთ ბარომეტრათ ჩაითვალს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

პეტერბურგში იბრძვის ორი, ერთი მეორეს დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე პარტია—კადეტები და სოციალ-დემოკრატები. მართალია ამ ბოლო დროს მემარჯვენები და ოქტომბრისტებიც ჩამოერიენ ბრძოლაში, მარა ეს ისე, **ради формы**—აქაო და, ჩვენც ვართო, თვარა, რომ არც ოქტომბრისტს და არც მემარჯვენეს არ აირჩევს პეტერბურგი—ეს ყველასთვის აშკარაა.

კადეტები ყოველგვარი საშვალებას ხმარობენ, რომ ფონს გავიდენ. ნაცვლათ იმისა, რომ ამრჩევლებს უთხრან: აი ბატონებო, როცა ჩვენ გვირჩევდით დუმაში, შეგპირდით ამის და ამის გაკეთება, როცა იქ მივედით ეს და ეს გავაკეთეთ, ჩვენი საარჩევნო აგიტაცია, ჩვენვე საქმეშია! ისინი კრინტსაც არ ძრავენ ამის შესახებ. და ეს ადვილი ასახსნელიცაა. კადეტების მთელი მოღვაწეობა, როგორც დუმაში ისე დუმის გარეშე—ეს, ერთავათ მიზნის და საშუალების შეუთანახმლობა-შეუფერებლობის განხორციელებაა, ლოღიკური წინააღმდეგობით სავსეა. მარჯვენამ არ იცის რას აკეთებს მარცხენა და წინააღმდეგ. კადეტების მთელი მოღვაწეობა, ყველა მათი გამოსვლა ერთავათ ორპოფი, ორპირი და ორ-მაგი პოლიტიკით არის გაჟღენთილი. ზურგს უკან ხალხის სახელით ვაჭრობა-ლაქუცი, ხოლო, აქ-იქ მეტიჩრული მეჭარა—აი მთელი შინაარსი კადეტების პოლიტიკისა. ამგვარმა პოლიტკამ თვალსაჩინო როლი ითამაშა და ხელი შეეწყო სამი ივნისის „პერევოროტსაც“. კადეტების პარტიის მოღვაწეობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც დროს და მიზნის შესაფერი ყოფილიყოს. ამას კარგათ გრძნობენ თვით კადეტებიც და სწორეთ ამიტომ არჩევენ ამ მხარეს გზა აუხვიონ და პირში წყალი დაიგუბონ. საარჩევნო კომპანიაში პარტიის მოღვაწეობას კი არ აყენებენ, არამედ იმ სასაცილო გარემოებას, რომ „მემარცხენის“ არჩევა კადეტის წინააღმდეგ გაახარებს ბიუროკრატიას, შავ-რაზმელებს და ოქტომბრისტებსო.

მთავრობას სწყურია კადეტების დამარცხება, „მემარცხენეებსაც“ ეს უნდათ—ცხადია, მათ შორის არაფერი განსხვავება არაა. ეს ბრმა ხალხია; მათი თვალის ახელა შეუძლებელია—გაიძახიან ისინი. ოქტომბრისტებმა ერთხელ წყლის ასამღვრევათ სთქვეს: კადეტების არჩევას „მემარცხენე“ გვირჩევნია. ამიტომ ხმას მათ მივცემთო. გაზეთმა „ნ. დ.“ მაშინვე აღნიშნა ეს და განაცხადა: ოქტომბრისტების და მემარჯვენების ხმის მოცემას სოციალდემოკრატია მხოლოდ **ზიზღით გასცემს პასუხსო.** მიუხედავათ ასეთი განცხადებისა, კადეტები მაინც არწმუნებენ ამრჩევლებს—მემარცხენეებმა ოქტომბრისტებს გაუწოდეს ხელიო. ასეთი ინსინუაციებით და ცილისწამებით სურთ კადეტებს არჩევნებში გამარჯვება!

ვინც ასე იწყებს საარჩევნო კამპანიას, ის თვითონ აძლევს თავს სიკოტრის მოწმობას.

ვის აირჩევს პეტერბურგი? ვის მიანდობს თავის ინტერესების დაცვას?

ამ არჩევნებით ქეშმარიტმა დემოკრატიამ პროტესტი უნდა გამოუცხადოს სამი ივნისის მიერ წარმოშობილ ბატონ-პატრონებს, პროტესტი უნდა გამოუცხადონ კადეტებს, როგორც ოპოზიციის ფალსიფიკატორებს. ეს შესაძლებელია

მხოლოდ სოციალდემოკრატების კანდიდატის სოკოლოვის არჩევით. პეტერბურგის არჩევნებზე დამარცხება—ეს დამსახურებული სასიკვდილო ლახტია მთელი კადეტების პარტიის. შრომის ჯგუფმა და სახალხო სოციალისტებმა კიდევაც შეიგნეს ეს და აკი გაშმაგებითაც იბრძვიან კადეტების წინააღმდეგ.

კიდევ ერთი „მემარცხნე“ დეპუტატის არჩევა საგრძნობლათ შეუმსუბუქებს მუშათა კლასს თავისი ძალების ორგანიზაციას. ის ძალას შემატებს იმ დეპუტატებს, რომლებიც თავ-განწირვით იბრძვიან ხალხის ინტერესებისთვის.

„მემარცხნე“ დეპუტატის არჩევით, ამრჩევლები დაამტკიცებენ, რომ მათ ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ სამი ივნისი და ყოველივე ის, რაც მას შემდეგ განიცადეს; რომ ისინი ვერ შერიგებიან ვერც განსაკუთრებულ წესებს, ვერც აზეფოვშჩინას და ვერც „განახლებული“ წესწყობილების სხვა ამგვარ „ბედნიერებას“; რომ ისინი არაფერს არ ივიწყებენ და არც არავის რამეს აპატიებენ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია საარჩევნო ბილიუტენს შეასრულოს დემოკრატიული ამრჩევლების ხელში პოლიტიკური ბრძოლის იარაღის როლი.

დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ისეთ ჩიხშია მომწყვდეული, ისეთი ჯაჭვითაა შებოჭილი, რომ აუცილებლია მისი გაგლეჯა. ეს კი შეუძლია მხოლოდ დაინტერესებულ საზოგადოებრივ ძალთა თვითმოქმედებას. ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა. რაც დღემდის ხდებოდა, ეს მხოლოდ მკრთალი დასაწყისი იყო. უმთავრესი საქმე ჯერ კიდევ წინაა. ამისთვის კი საჭიროა დემოკრატიის ამოძრავება, მისი ბრძოლის ველზე გამოსვლა და თავის სამოქმედო ასპარეზის დაპყრობა. სოკოლოვის არჩევით პეტერბურგის დემოკრატია კიდევ ერთხელ დაამტკიცებს თავის პოლიტიკურ სიმწიფეს, კიდევ ერთ ბელადს შეიძენს და მით ხელს შეუწყობს დემოკრატიული პრინციპების გამარჯვების დაჩქარებას. №

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 სექტემბერი.

სპარსეთი.

ლონდონი. „ტაიმს“ ატყობინებენ თეირანიდან: ისპაჰანიდან და იეზდ-შირაზიდან გზებზე აუარებელი ყაჩაღები გაჩნდენ. ყაჩაღები თავზარს სცემენ ქალაქებს და სოფლებს. ვაჭრობა და საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვა შესწყდა. თეირანში რამდენიმე მნიშვნელოვანი პირი დაიჭირეს პოლიტიკურ საქმეზე.

თეირანი. ნაციონალისტ მუტაზირ-დოულეს სახლში დაატუსაღეს ძველი რეჟიმის მომხრენი: მეშხედის ყოფილი გუბერნატორი ნეირუდ-დოულე, ბინუდ-დოულე, ცზამუს-სალთანე, საადულ-მულკი და ჰაჯი-ბუდ-დოულე. მათ 15,000 თუმანი ჩამოართვეს ბეთ.

თავრიზი. აქ არსდება ქალაქის და მონტერნი სახელოსნო. დახარჯულია 300,000 მანეთი. ენერგიულ მონაწილეობას იღებენ გერმანიის ინჟენერ-ტექნიკები.

საზღვარ-გარეთ

ვენა. „კორრ. ბიურ.“ ატყობინებენ ცეტინიედან: რამდენიმე დღის წინათ აღმოჩენილ შეთქმულობის შესახებ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ შეთქმულობა მთავრობის დასამხობათ ყოფილა. შეთქმულებს უნდოდათ გაენთავისუფლებიათ ციხიდან 1907 წელს ყუმბარების თაობაზე დაჭერილები, ტახტიდან ჩამოეგდოთ ნიკოლოზი, მთავრათ გამოეცხადებიათ დანიელი და დაეხოცათ ეხლანდელი მინისტრები. შეთქმულობაში მონაწილეობა 20-დე კაცს მიუღია. ამათგან 15 უკვე ალბანიაში გაიქცა. შეთქმულებს მხარი არ დაუჭირეს მცხოვრებლებმა, რომლებიც თხოულობენ დამნაშავეების სამაგალითოთ დასჯას. შეთქმულობას დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ.

მადრიდი. ოფიციალურ ცნობებით მელილიიდან რეკოგნოსცირ-ოვკის დროს ესპანელებს მოუკლეს ერთი გენერალი, ორი კაპიტანი, პორუჩიკი და 14 სალდათი. დაუჭრეს 180.

ორანი. ესპანელების მიერ აღებულ სელუმის წინააღმდეგ გაილაშქრა ტტუნლის, ბარანესის, ელიარატის და საანის ტომის ცხენოსნებმა.

ციურიხი. გაიმართა ჰაეროსტატთა საერთაშორისო გაჯიბრება.

ნიუ-იორკი. პორტლანდაშტატში მოვიდა პირი თავისი ცოლით. ხალხმა ოვაცია გაუმართა.

რუსეთი.

ნოვოჩერკასკი. ამურის ოლქიდან დაბრუნდა ექსპედიცია, გეოლოგ პოლენოვის მეთაურობით. ექსპედიციამ გამოიკვლია მდინარე ტორმას ნაპირების მიწები. ექსპედიციამ 500 ვერსტი გაიარა და ქვა-ნახშირის მადნები და სამკურნალო წყლები აღმოაჩინა. სახნავ-სათესი მიწები ნაკლები არის ნაპირებზე.

პეტერბურგი. ადმინისტრაციის განკარგულებით ხელ-ახლა დახურეს იოანიტების თავშესაფარები. თავშესაფარებში მყოფ 113 ბავშვს თავი მოუყარეს ტერიაევის ქუჩაზე და საზოგადო თავშესაფარებში გაგზავნეს. წინათ ჩამორთმეულ 85 ბავშვიდან იოანიტების ხელში აღმოჩნდა ისევ 50 ბავშვი. იოანიტთა მეთაურებს პასუხის გებაში აძლევენ.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოთ დატოვა ელისავეტოგრადის სამხედრო ლაზარეთის ექიმ როზოვის საკასაციო საჩივარი. მას დროებით სამხედრო სასამართლოს მიერ ჰაუპტვახტში 30 დღით დატუსაღება ქონდა მისჯილი, რადგან თავის დროზე არ დაეხმარა ავათმყოფს.

კურსკი. ობოიანის საერობო გამგეობაში 21,000 მანეთის გაფლანგვისთვის სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა: დაზღვევის განყოფილების გამგე იუროვს სამი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, გამგეობის ყოფილ თავმჯდომარე ბაროვცინს და წევრებს გორიაინოვს, სოკოლოვს და როგოვს სამსახურიდან დათხოვნა; რეგისტრატორი მელიქოვი გაამართლა. ყველა დამნაშავეებს დაეკისრა გაფლანგული ფულის გადახდა.

ვლადიმირი. (საგუბერნიო) გაიხსნა მებაღეობის და მეხილეობის გამოფენა.

კიევი. სახელმწიფო საბჭოს წევრათ მემამულეებმა აირჩიეს ანდრია ალექსანდრეს ძე ბობრინსკი.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმაში შეიტანეს სახალხო განათლების სამინისტროს დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელითაც მილიონ ნახევარ მანეთი მეტია ხარჯი, აქედან ერთი მილიონი გადადებულია პირველდაწყებით სასწავლებლების შესანახათ და ნახევარი მილიონი სასკოლო-საამშენებლო ფონდისთვის. ამგვარათ, სამინისტროს მთელი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 76,847,260 მანათს, წინა წლებთან შედარებით 12,910,358 მანეთით მეტი.

სახელმწიფო დუმაში სავაჭრო სამინისტრომ წარადგინა წინადადება გადადებულ იქნას საჭირო თანხა საგანგებო კომისიის ხარჯებისთვის. ეს კომისია განიხილავს სადამოჟნო ტარიფების შესახებ ზოგიერთ დადგენილებებს და გამოიკვლევს საკითხს შესაძლებელია თუ არა გადიდებულ იქნას ბაჟები ჩაიზე, რომელსაც ციმბირის მცხოვრებნი ხმარობენ, ყავაზე და ზოგიერთ სხვა საქონელზე.

ბაქო. 17 სექტემბერს დიდი წვიმის გამო ქუჩებში ნიაღვარი მოვარდა, სარდაფები და ფქვილის საწყობები წყლით აივსო. ზარალი ფრიად დიდია. დაიხრჩვა ერთი დედაკაცი. საქალაქო გემნაზიაში სწავლა შესწყდა.

ადესა. სასახლის მინისტრმა დეპეშით აცნობა გრადონაჩალნიკს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ნება დართო წარუდგეს ქალაქის დეპუტაცია.

ნოვოროსიის უნივერსიტეტში არსდება სრულიად რუსეთის სტუდენტთა ნაციონალური საკადემიო კავშირის განყოფილება.

კიშინევი. ბესარაბიის სამდვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ აირჩია დეკანოზი პაშკოვი.

ორგეევის მაზრაში იპოვნეს ფუთ-ნახევარი ოქროს ფული.

იაროსლავლი. საგუბერნიო სააგრონომიო სიეზდმა სასურველათ სცნო ერობამ თავის ერთ მთავარ მიზნათ დაისახოს გლეხთა განათლება სკოლის გარეთ სასოფლო-სამეურნეო კურსების გამართვით. საჭიროთ სცნეს გამოსცეს ერობამ საკუთარი ორგანო სასოფლო სამეურნეო კითხვების შესახებ.

ბაქო. აქ მოვიდა გემი „სკობელევი“, რომელითაც მიემგზავრება ყოფილი შაჰი; საჭირო წყალის მიღების შემდეგ ზღვაში გავიდა.

უფა. „რაზიეზდ“ ბიანკაზე ათმა ნიღაბიანმა ბოროტ-გამზრახველმა გაძარცვა მატარებლით მიმავალი უსტ-კატავსკის ქარხნის მეარტელე. წართვეს 15 ათასი მანეთი.

ქერჩი. დიდი წვიმების გამო ქალაქში ნიაღვარი მოვარდა. ქალაქის განაპირა კაპკანაში მეხმა მოკლა სამი კაცი.

პეტერბურგი. 16 სექტემბერს მუშაობა დაიწყო უმაღლესათ დაარსებულმა უწყებათაშორის კომისიამ, რომელმაც უნდა გადასინჯოს სამხედრო ბეგრის წესდება. კომისიამ შეიმუშავა სამუშაოს გეგმა. მუშაობას დაიწყებენ 1874 წლის წესდების კანონმდებლობის გადასინჯვიდან, რომლითაც სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შეღავათი ეძლევათ და ისაზღვრება პირობები და ჯარში მიღების წესები. კომისია საკანონმდებლო დაწესებულებას წარუდგენს წესდების ახალ დებულებას საჩქაროთ განსახილველათ.

ნოვოჩერკასკი. უსტ-ბელოკალიტვინსკის სტანიცასთან მოკლეს ხუთი სულისაგან შემდგარი თათრის ოჯახი.

ხოლერა.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 31, მოკვდა 12, ავათ არის 355.

სიზრანი. ხოლერით ავათ გახდა და მოკვდა ერთი.

ბელოსტოკი. ხოლერის გაჩენის გამო გახსნეს ბარაკი.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

გერმანია და სპარსეთი. გაზეთების ცნობით ბერლინიდან სპარსეთში რამდენიმე ოფიცერი მიუფრინა. მათ სურთ სპარსელი ინსტრუქტორების ადგილები დაიჭირონ. საზოგადოთ, სპარსეთს ამ ჟამათ ბევრი გერმანელი ეტანება. ხმები დადის —ახლო მომავალში სპარსეთის მთავრობა გერმანიის სახელმწიფოსაგან სესხის აღებას აპირებსო.

სპარსეთის მდგომარეობა. პეტერბურგში მყოფ სპარსეთის ელჩს „რეჩის“ კორესპონდენტისათვის, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: მეჯლისის მოწვევის დაგვიანება გამოიწვია გზების უქონლობამ. ბევრი დეპუტატი უკვე მოვიდა თეირანში. კონსტიტუციის თანახმათ პარლამენტის გახსნისათვის საჭიროა ნახევარზე მეტი დეპუტატთა რიცხვი. ჩემის ანგარიშით საჭირო რიცხვი მზათ იქნება სამოოთხი კვირის შემდეგ. ხმები ახალი პრეცენდენტის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. რუსეთის კაზაკთა ბრიგადა გაუქმებულ იქნება. სპარსეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და როგორც სურს ისე მოაწყობს თავის შინაურ საქმეებს. ხმები, ვითომ ყოფილ შახს ბევრი მომხრეები ყავდეს, რომლებიც მას ვითომ ტახტის დაბრუნებას პირდებოდენ — საფუძველს მოკლებულია. ეს შეუძლებელია.

ოსმალეთი

ჯარების მობილიზაცია. ოსმალეთში შინაურ ომს ბოლო არ ეღება. ახალგაზდა ოსმალები ძლიერნი აღმოჩდენ რეაქციის ლტოლვილების ფრთების შესაკვეცათ და აბდულ-ჰამიდის საბოლოოთ დასამარცხებლათ. განახლებულ სახელმწიფოში ორი მიმართულება დაეჯახა ერთმანეთს: ცენტრალისტური, რომელთა წარმომადგენელნი ახალგაზრდა ოსმალეგია და დეცენტრალისტური—რომლის მატარებელი არიან ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრებნი წვრილი ერები. სომხებთან ოსმალებმა უკვე მოახერხეს მშვიდობიანი შეთანხმება და დღეიდან ისინი ერთათ იმოქმედებენ ოტომანთა სახელმწიფოს საკეთილდღეოთ. ალბანელებმა კი დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალეს და ხელში იარაღი აიღეს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ოსმალეთის მთავრობას სკოპლიის ვილაეტში 180,000 ჯარის-კაცისთვის მოუყრია თავი. მთავრობის მიზანია ამ დემონსტრაციით თავის სიძლიერეში დაარწმუნოს ალბანია და ხელი ააღებიოს მას დეცენტრალისტურ მიდრეკილებაზე. ალბანიის მდგომარეობა კრიტიკულია.

---

* *
*

მოთქმა ისმოდა ქოხიდან
გულ-დათუთქული დედისა,
—მე რაღათ დავრჩი?!—ჰკიოდა
უკმაყოფილო ბედისა!

„შვილო, საფლავიც არა გაქვს
რომ ეს ცრემლები იქ ვღვარო,
ტანჯულ სიცოცხლეს შენს შემდეგ
რას ვაქნევ, რათ შევიყვარო“?!.

„ყორანს დავეძებ ჩხავილით
რომ სწამლავს არე-მარესა,
მსურს დავუნახო ნისკარტი
იმ ვერაგ მოსამარესა!“

„და რომ შევხედავ შენს თვალებს
კვლავ დასტრიალებს მგონია,
ის ჰკორტნის მე კი ცრემლსა ვღვრი—
სხვა ვერა მომიგონია!“

ასე მოსთქვამდა მშობელი
საბრალო ძუძუ დამშვარი,
ნუგეშს არ სცემდა არსიდან
არც მოძმე, არც მეგობარი!

გარეთ ნიავი დაჰქროდა
ტოტებს ურხევდა ხეს ნელა,
ხან ვარდს ჰკოცნიდა ხან იას
გულში იკრავდა მას ყველა!

მზის მოციმციმე სხივები
მშვენებათ მთის წვერს ეფინა,
წყარო წარმტაცი ჩინჩქარით
ესწრაფებოდა კვლავ წინა!

ტოტიდან ტოტზე ჩიტუნა
გადადიოდა ლხენითა,
თავს ევლებოდა მდელოსაც
ჭყივილით ცელქი ფრენითა;

კაცი კი გრძნობას გაჰყროდა
აღარ სტკიოდა იარა,
არც ის ახსოვდა მის თავზე
რა მოხდა, რამ გადიარა!

და როს ერთი მხრივ ბუნებას
მშვენების მკერდი გაეღო,
მეორე მხარეს დედისა
ნიავს გოდება წაეღო;

იგი გულგრილათ შესცქერდა
ვით პირველს ისე მეორეს,
არც თავს ჰკითხავდა და არც სხვას
დედა შვილს რათ დააშორეს!..

რ. ლეჩხუმელი.

ისტორიული მატერიალიზმი

III

როგორც მეორე წერილში ვამბობდით, კარლ მარქსმა დარვინზე ადრე განვითარების ფაქტორათ ბრძოლა არსებობისათვის აღვიარა, მაგრამ ბრძოლა „ყველასი ყველას წინააღმდეგ“ კი არა, არამედ ბრძოლა ადამიანისა, როგორც სოციალური ცხოველის სოციალურ საზოგადოებაში, ერთი სიტყვით: **კლასთა ბრძოლა**. ამ დიდებულ აღმოჩენით მან მიაგნო ადამიანთა საზოგადოების განვითარების სამოძრავო კანონს და მით ერთხელ და სამუდამოთ უარყო იდეალისტური კვლევითი მეთოდი. სამყაროს მამოძრავებელი აგენტი, იდეა-მსოფლიო სული არ არის, როგორც ამას ჰეგელი ფიქრობდა,—ვინაიდან, მარქსის აზრით თვით იდეაც კი კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობის ნაყოფია. ყოველგვარი იდეა თუ იდეოლოგია ცვალებადია, რადგან ეს მხოლოდ გამომხატველია ცვალებად ეკონომიურ ინტერესებისა, უკანასკნელი მოვლენა კი დროს და გარემოების მიხედვით მუდამ სხვა და სხვაგვარია. ამა თუ იმ მსოფლ-მხედველობაზე ეკონომიური ურთიერთობა ზე გავლენას ახდენდა, ეს რასაკვირველია, მარქსამდისაც იცოდენ, მხოლოდ კულტურის ისტორიკოსები ამას წარმოების წესის ცვალებადობაში კი არ ხედავდენ, არამედ ბუნების ზედ გავლენაში. ვის არ წაუკითხავს ბოკლის ცნობილი „ცივილიზაციის ისტორია“, საცა ავტორი ლაპარაკობს „ბუნების ზედ-გავლენას ადამიანთა ცხოვრებაზე“. იგი საბერძნეთის ისტორიის განვითარებას საბერძნეთის მშვენიერ ბუნებას და კაშკაშა ცას აწერს. თუმცა საბერძნეთის მშვენიერი ბუნება, მოკაშკაშე ცა დღესაც იგივეა, რაც ეს ათას და ორი ათასი წლის წინათ იყო, მაგრამ ძველი ჰელინების სული კი დიდი ხანია გაჰქრა, ის ისტორიის არხივს ჩაბარდა. როგორც სჩანს, ბოკლის თვალსაზრისითაც ისტორიული მოვლენების ახსნა-განმარტება უნაყოფო და უნიადაგოა.

ისტორიის მატერიალისტური მეთოდით ახსნა კი დამყარებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ყოველივე საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს წარმოება და ნაწარმოების აღებ-მიცემობა შეადგენს. ყოველ ისტორიულ საზოგადოებაში ნაწარმოების განაწილება და მასთან ერთათ კლასების ანუ წოდების გაჩენა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ და რა ნაწარმოებს იძლევა ესა თუ ის საზოგადოება და რა წესით ხდება ნაწარმოების აღებ-მიცემობა. აქედან ის აუცილებელი დასკვნა გამომდინარეობს, რომ სოციალურ ცვლილებების და პოლიტიკური რევოლიუციის ძირითადი მიზეზები უნდა ვეძიოთ არა ადამიანის თავში, არა ამ ადამიანებისაგან სამართლიანობის ცოტათ თუ ბევრათ სისწორით წარმოდგენაში, არამედ წარმოების წესის ცვლაში; სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: არა ფილოსოფიაში, არამედ ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქის ეკონომიაში. იმის შეგნება, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი გონების წინააღმდეგი და უსამართლოა, რწმენა, რომ სიბრძნე უგუნურებათ იქცევა, კეთილი ბოროტებათ, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ წარმოების წესებში და აღებ-მიცემობის ფორმებში თანდათან იმდენი საგრძნობელი ცვლილება მოხდა, რომ მათ უკვე ადარ შეეფერება ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც გამოჭრილი იყო წინანდელ ეკონომიურ ურთიერთობის თანახმათ. ნათქვამიდან ცხადათ სჩანს, რომ შეგნებულ მავნებლობის ასაშორებელი საშუალებები ცოტათ თუ ბევრათ განვითარებული სახით მოიპოვება თვით წარმოების შეცვლილ პირობებში. ადამიანის გონებას არ შეუძლია ამ საშუალების გამოძებნა, მან იგი უნდა აღმოაჩინოს წარმოების არსებულ მატერიალურ პირობებში *).

დაახლოვებით ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული კ. მარქსს ერთ თავის ცნობილ წიგნაკში—„საქირაო შრომასა და კაპიტალში“, საცა ივი სწერს, რომ წარმოებისათვის ადამიანები შედიან განსაზღვრულ კავშირ-ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივ კავშირ-ურთიერთობის შემწეობით წარმოსდგება ის ზედმოქმედებანი ადამიანთა ბუნებაზე, რომელიც საჭიროა წარმოებისათვის. მწარმოებელ საშუალებათა ხასიათის მიხედვით იცვლება მწარმოებელთა ურთიერთი, საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი, იცვლება ურთი-ერთობა მათი საერთო მოქმედებისა და მონაწილეობისა წარმოების სფერებში. ახალი იარაღის, ცეცხლის მტყორცნელ აღმოჩენასთან ერთათ აუცილებლათ შეიცვალა არმიის შინაგანი ორგანიზაცია, შეიცვალა აგრეთვე ურთი-ერთი დამოკიდებულება არმიაში შესულ პიროვნებათა, შემწეობით ეს არმია წარმოადგენს ორგანიულ მთელს. შეიცვალა ბოლოს სხვადასხვა არმიის ურთი-ერთა შორის დამოკიდებულობა. მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი იცვლება წარმოების მატერიალურ საშუალებათა მიხედვით, ანუ საწარმოო ძალთა შეცვლა-ურთიერთობასთან ერთათ. წარმოების ურთი-ერთობანი მთელი თავისი გროვით ჰქმნიან იმას, რაც იწოდება საზოგადოებრივ ურთი-ერთობათ, საზოგადოებათ და წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურს, თავის განსაკუთრებული, ინდივიდუალური თვისებით.

ძველი ანტიკური საზოგადოება **ფეოდალური და ბურჟუაზიული** თვითეული თავის განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობათა ჯამს შეიცავს და წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიულ განვითარების ცალკე საფეხურს. კაპიტალიც წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოადგენს *). ეს ისტორიული პროცესი მარქს-ენგელსმა უფრო ნათლათ და გარკვეულათ 1847 წ. თავიანთ ცნობილ „კომუნისტურ მანიფესტში“ გამოსთქვეს. შიგ სწერია: „საზოგადოების ისტორია დღემდის კლასთა ბრძოლის ისტორია იყო. თავისუფალი და მონა, პატრიციი და პლებეი „ბატონი და ყმა, ამქრის ხელოსანი და ქარგალი, მოკლეთ—მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდამ მტრულის თვალით უყურებდენ ერთმანეთს და მათ შორის განუწყვეტელი ომი იყო გაჩაღებული, ხან აშკარა და ხან ფარული. ეს ომი საზოგადოებრივი შენობის ხელ-ახალი აგებით თავდებოდა ყოველთვის, ან არა და ორივე მებრძოლი კლასი ერთათ იღუპებოდა **). მოვიყვანთ კი-

*) ფრიდრიხ ენგელსი: „ანტიდიურინგი“.

*) კარლ მარქსი „საქირაო შრომა და კაპიტალი“.

**) კარლ მარქსი: „კომუნისტური მანიფესტი“.

ახალგაზდა ოსმალთა გაზეთები „ტანინით“ სათავეში, ერთხმათ ბრალს სდებენ ავსტრო-უნგრეთს, რომ ალბანელებს აქეზებს და აჯანყებაში ხელს უწყობსო.

ალბანელების მზადება. ალბანიაში „რეჩის“ კორ—ტის სიტყვით, აჯანყება ისევ გრძელდება. მოსალოდნელია, რომ მუშაობის გათავების შემდეგ აჯანყება, უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. მიუხედავათ სასტიკი დამარცხებისა, ალბანელები იარაღს არ ყრიან **და ბრძოლას** განაგრძობენ. ოსმალთა ჯარების უფროსმა, ჯევად-ფაშამ ალბანელთა რამდენიმე სოფელი მოწასთან გაასწორა.

რუსეთი

წინასწარი საარჩევნო კრება. 12 სექტემბერს პეტერბურგში, ნობლის სახლში მოხდა კრება ნ. დ. სოკოლოვის მომხრეების მიერ მოწვეული. პირველათ ილაპარაკა სოც.-დემ. კანდიდატმა სოკოლოვმა, რომელსაც კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა. სოკოლოვმა პირველ ყოვლისა განაცხადა, რომ ის კანდიდატია რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის, რომელიც ერთათ ერთი ჭეშმარიტი დამცველია მუშათა კლასის ინტერესების. ბურჟუაზიული კლასები, რომლებიც არქმევენ თავის თავს „სახალხო თავისუფლების“ პარტიას არას დროს არ იცავენ დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები. ყოველივე მათმა ცდამ მუშების შესაკავშირებლათ თავის დროშის ქვეშ, ამაოთ ჩაიარა. ამის მაგალითად, სხვათა შორის, შეგვიძლია დავასახელოთ თუგინდ გაპონის ორგანიზაციები, რომლებმაც დალია თავისი დღე მუშათა მოძრაობის სახელის გატეხით რუსეთში. სახელმწიფო დუმა იმ უფლებებით, რომელიც აქვს მას დღეს მინიჭებული არ შეიძლება ვიცნათ საკანონმდებლო ორგანოთ. ხალხისთვის საჭირო კანონებს ვერას დროს ვერ შეიმუშავებს „აზნაურების დუმა“. ამიტომ მით უნდა ვისარგებლოთ, როგორც ტრიბუნით, საიდანაც უნდა ვუთხრათ ხალხს თავისუფალი სიტყვა, რომელიც ხელს შეუწყობს მუშათა მასსის ორგანიზაციას. ამ შემთხვევაში ჩვენთან ერთად არიან ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები. ეს არ მოსწონთ, რასაკვირველია, ს. დ. მოწინააღმდეგე კადეტებს, ამიტომ მათი კანდიტატი კუტლერი შეგნებულათ სტყუის, ვითომ სოც.-დემოკრატებს არ შეეძლოთ გლეხების ინტერესების დაცვა. კადეტები არც ისეთი ცილისწამების წინაშე შესდგენ, როგორიც არის მაგ. მათ მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც სოც.-დემოკრატებს პოლიციაც ეხმარებოდეს, ოლონდ კადეტი არ აირჩიონ. კადეტები გაიძახიან: ჩვენ დუმაში კანონებს ვიმუშავებთ, ე. ი. სხვანაირათ რომ ვთქვათ, გვინდა მთავრობას გამოვლიტოთ ნაგლეჯი მაინც. ჩვენ, სოც.-დემოკრატები არ ვდგევართ ასე ახლო პოლიტიკურ მანილოვებთან. ჩვენ ვამბობთ: რუსეთის ხალხი თვითონ მოიპოვებს თავისუფლებას დუმის გარეშეც. შემდეგ სოკოლოვმა საუცხოვოთ დაახასიათა კადეტების პოლიტიკა დუმაში. მან ჩამოთვალა კადეტების ყველა ყალბი ნაბიჯები და შესაფერი მსჯავრი დასდო: უკანა ფეხებზე დგომამ კადეტები იქამდის მიიყვანა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ლონდონში წასვლაში, რომელიც გამოწვეული იყო ოფიციალური მთავრობის დასაცავათ. მთავრობაც აფასებს კადეტების ამ სამსახურს და მზათ არის აპატიოს მათ წინანდელი „ცოდვები“. დასასრულ სოკოლოვმა მოუწოდა ამრჩევლებს, არ მისცენ თავიანთი ხმა კადეტების უპრინციპო კანდიდატს კუტლერს. შემდეგ ილაპარაკა კუტლერმა, კუზმინ-კარავაევმა, ვოდოვოზოვმა, მილიუკოვმა და მიაკოტინმა. ამ უკანასკნელმა (სახ. სოციალისტია) მოუწოდა ამრჩევლებს არ დაუშვან ძირს ბრძოლის დროშა და აირჩიონ სოკოლოვი.

ოქტომბრისტების კანდიდატი მოსკოვში. ოქტომბრისტებმა ა. ი. გუჩკოვის წინადადებით დუმის კანდიდატათ დაასახელეს ნ. ვ. შჩენკოვი. შჩენკოვს მოსკოვში აბრეშუმის დასამზადებელი ქარხანა აქვს. ის ამ ჟამათ ვაჭრების წარმომადგენელია საბირჟო საზოგადოებაში, ხმოსნათ არის ქალაქის თვითმართველობაში.

აზეფი იალტაში. „ნ. რუს.“-ის სიტყვით ამ დღეებში იალტაში სევასტოპოლიდან აზეფი მისულა. აზეფი ქალაქ გარეთ ცხოვრობს. მას სახეზე თურმე გრიმი ქონია გაკეთებული ეს ცრობა გადუცია „იუგის“ საგენტოს.

„ინოროდცებთან“ ბრძოლა. გზათა მინისტრს რუხლოვს ტიუმენ-ომსკის რკინის გზის გამგეობისათვის ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ ებრაელებს და პოლონელებს სამუშაოს არ მისცემენ. მინისტრმა რკინის გზის უფროსებსაც დაუგზავნა ცირკულარი, რაც შეიძლებადა რკინის გზის სამსახურში პოლონელები ცოტა მიიღონ.

ქალები სახელმწიფო სამსახურში. როგორც ვიცით, დღემდე ქალებს მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში აძლევდენ ადგილს. ამ ჟამათ მთავრობა აპირებს ქალები სხვა სხელმწიფო დაწესებულებებშიაც მიიღოს. პირველ მაგალითს მოსკოვის სახაზინო პალატის გამგე ბ. კუტლერი იძლევა. მან გადასწყვეტა სახაზინო პალატაში სხვადასხვა თანამდებობაზე 26 ქალი მიიღოს მოხელეთ.

რეზინების სახელოსნო. იაროსლავის ჰეშ. რუს. კ. უფროსს, მოშკოვს სპეციალური სახელოსნო ჰქონია საცემი რეზინების დასამზადებლათ.

ვინ წვავდა სოფლებს. ამ უკანასკნელ ხანებში ისე დღე არ გავიდოდა, რომ დეპეშას ამბავი არ მოეტანა ესა და ეს სოფელი გადაიწვა. ცეცხლის გაჩენა ისე ხშირი იყო, რომ უნებლიეთ იპყრობდა ყველას ყურადღებას. სოფლელები მეტათ დიდ საგონებელში ჩაადგო ამ უცნაურმა მოვლენამ. ეჭვით რამდენიმე კაცი დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს, მარა ამით ცეცხლის გაჩენა მაინც არ მოისპო. დაშინებულ მცხოვრებლებს ჩერდანში, მთელი ღამეები არ სძინებიათ. ქუჩებში, სახლის სახურავებზე, ეზოებში, ბოსტნებში ისინი რიგ-რიგობით მორიგეობდენ. ერთ ღამეს მორიგემ შენიშნა, რომ ორი ახალგაზდა, ღამის თერმეტ საათზე ვაჭარ ალონფს ბეღელს მიადგენ. ისინი მაშინვე დაატყვევეს. დაჭერის ადგილას ნახეს ორი ფლაკონი ბენზინით სავსე, ბენზინით გაჟღენთილი ჩვარი და სფიჩკა. ერთმა დაჭერილთაგანმა განაცხადა, რომ ის გადასახლებული კუკუშკინია, მეორეს ქუდზე რაღაც ნიშანი ქონდა და განაცხადია, რომ ის ანდარმთა გამგეობის აგენტია, გვარათ გოლოვკოვი. გოლოვკოვმა განაცხადა, რომ ის წვავდა სახლებს მაძებარი პოლიციის აგენტის და ისპრავნიკის თანაშემწე ნესტოროვთან ერთათ.

საზღვარ-გარეთ.

სამი სიკვდილით დასჯილი. ოთხშაბათს, 22 სექტემბერს ქ. ვალენციაში (საფრანგეთში) სამი ყაჩაღი დასაჯეს სიკვდილით. მათი სახელებია: დავით, ლისტარ და ბერრიუე. ისინი რამოდენიმე წლის განმავლობაში დათარეშობდენ დრომის დეპარტამენტში და შიშის ზარს სცემდენ მცხოვრებლებს. მათი მხეცური მოქმედება სამაგალითო იყო მთელ საფრანგეთში. სახლის პატრონისათვის რომ ეთქმევინებიათ, სად ქონდა ფული შენახული, ყაჩაღები მას ხელფეხს ცეცხლში აყოფინებდენ.

მათი დასჯის დღეს ვალენციაში დიდძალი ხალხი მიაწყდა მახლობელ დაბა-ქალაქებიდან და თვით პარიზიდანაც. ციხის გარშემო აშენებულ შენობების ფანჯრები და მოაჯირები მაყურებლებს ვერ იტევდენ. ბევრი მაგალითი იყო, რომ ფანჯარაზე ადგილის დაკავებისათვის მაყურებლები 100 ფრანკს იხდიდენ. ციხის გარშემო შეუწყვეტელი ხმაურობა იყო. ასე რომ ტუსაღებმა რამოდენიმე საათით ადრე იცოდენ მათი სიკვდილით დასჯის დღე. ღამით დიდი წვიმა მოვიდა, მაგრამ ამან ხალხს ხელი არ შეუშალა, ის თანდათან აწყდებოდა ციხეს. ჯარი და პოლიცია წეს-რიგს გაჭირვებით იცავდა. ხალხის მღელვარებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ტუსაღები გამოიყვანეს. მთელი ბრბო მღეროდა, ყვიროდა, იცინოდა, უსტვენდა, იწყევლებოდა, ზოგიერთი კიდევაც ცეკვავდა. დავითის საყვარელი, რომელიც ციხის წინ გამოჩნდა, ხალხმა ჰაერში ასწია. პოლიცია იძულებული გახდა ის ბრბოსთვის მოეშორებია. დასჯა საღამოს 5 საათზე მოხდა. დავითი ხუმრობდა და მახლობელ მაყურებლებს აცინებდა. მისი ორი ამხანაგი კი მოწყენილები იყვენ და სერიოზულათ გამოიყურებოდენ. 3 წლის განმავლობაში ამ სამ გმირს 12 კაცი მოუკლავს და 200 სახლი გაუტეხიათ და გაუძარცვავთ.

ამ სიკვდილით დასჯამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საფრანგეთზე. იურისტები იმ აზრის არიან, რომ საქვეყნოთ სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოსო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

პანაშვიდი. დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი სახ. დუმის ყოფილ წევრის სევერიანე მოსეს ძე ჯაფარიძის მოსაგონებლათ.

✦ ხმები სამხედრო წესების მოხსნის შესახებ. ხმები დადის, რომ როგორც კი კავკასიის ნამესტნიკი თფილისში დაბრუნდება, სამხედრო წესები მოიხსნება თფილისში და თფილისის მაზრაშიო („ბ.“)

✦ მკლელობა. 18 სექტემბერს მეხუთე საპ. ნაწილში, სომხის ბაზარში თფილის ვაჭრის შვილს აბგარ სარქისოვს და ლევან ეგიაზაროვს ეიღაც ბოროტ-გამზრახველებმა აუტეხეს ხროლა, რომლის დროსაც 8 ტყვით მოკლულ იქნა სარქისოვი, ხოლო მძიმეთ დაიჭრა ეგიაზაროვი. ხროლის დროს დაიჭრა აგრეთვე ქუჩაში მიმავალი მე-3 სავაჟო გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე არამ მელიქ-სელიკიანი. პოლიციამ ამ ადგილს ალყა შემოარტყა და დააპატიმრა თფილისის მცხოვრები ალექსანდრე დ. მიროტაძე, ალექსანდროპოლის—ა. ი. აკოპიანი, ქ. ახალქალაქის—ავეტიქ ბალდასაროვი, თფილისის მოქალაქენი: არშაკ გ. ტურაბოვი და ალექსანდრე ივანე ბეგიაშვილები. ამათში, როგორც გამოირკვა თანდასწრეთ მონაწილეობა მიუღიათ არშაკ ტურაბოვს, ძმებ ბეგიაშვილებს, ავეტიქ ბალდასაროვს და აბგარ აკოპიანს. მოკლული სარქისოვის გვამი და დაჭრილი ეგიაზაროვი გაგზავნეს საავთმყოფოში.

✦ თფილისის ტრამვაი. თფ. ტრამვაის მოსამსახურეებმა (კონდუქტორ-ვატმანებმა) საჩევარი წარადგინეს კავკასიის ნამესტნიკის მოადგილესთან დირექციაზე, დირექციის მიერ მუშებისათვის ახალი პირობების წარდგენის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება მუშებსა და დირექციას შორის დადებული ძველ ხელშეკრულებას. მოსამსახურეები სთხოვენ ნამესტნიკის თანაშემწეს ზომები მიიღოს ამის შესახებ. ნამესტნიკის მოადგილე მუშებს შეპირდა, რომ მათ თხოვნას გადასცემს იმ განსაკურებულ კომისიაში, რომელსაც მონდობილი ქონდა ტრამვაის საქმეების მოწესრიგება.—დირექციას მოსდის მრავალი თხოვნები მუშებისგან ტრამვაიზე ადგილის შესახებ, რომლებსაც ტრამვაის დირექტორი სთხოვს პოლიცმესტერისაგან კეთილსაიმედობის მოწმობებს.

✦ დეპ. ევ. გეგეჭკორს ბაქოს „საზოგადოებამ“, რომლის თავმჯდომარეთ ყარა-მურზა ითვლება, თხოვნით მიმართა, რომ წაიკითხოს მან ბაქოში ლექცია დღევანდელ მომენტზე. ე. გეგეჭკორმა ვარი შეუთვალა, ვინაიდან დრო არ მაქვსო.

✦ კიდევ წყალ-დიდობის შესახებ ბაქოში. გაზ. „ბაქოში“ დაწვრილებითაა აღწერილი 17 სექტემბრის წყალდიდობის ამბავი. წვიმა მოსულა შუადღის 12 საათზე და ქუჩებში მაწრაფლ დამდგარა დიდრონი ტბები. ტრამვაისა და ეტლების მიმოსვლა საჩქაროთ შეჩერებულა, მუშაობა ყველა დაწესებულებებში შეწყვეტილა და თავ-ზარდაცემული ხალხი ქალაქის თვითმართველობისაკენ ეშურებოდენ დახმარებისათვის, მარა ამაოთ. შველა არსაიდან იყო. სარდაფები სულ ერთიანათ წყლით გაივსო; ძველ შენობებიდან კედლები ჩამოინგრა, ქუჩები და ქვაფენილები დაინგრა, ზოგიერთ დაკეტილ მაღაზიებშიც შევიდა წყალი, რკინის გზაზე მატარებლით მიმოსვლა შეუძლებელი შეიქნა და საჩქაროთ შეწყდა —მოისმოდა ბავშვებისა და ქალების გულშესაზარი წივილ-კივილი, შემახინეაში, ქუჩაში წაიქცა ქალი, რომელსაც ხელში ბავშვი ყავდა და ბავშვი წყალ-

---

დევ ერთ ციტატას ფრიდრიხ-ენგელსის ცნობილ სიტყვიდან, რომელიც მან დაუვიწყარ მეგობრის (მარქსის) საფლავზე წარმოსთქვა: ჩარლს დარვინმა, სთქვა ენგელსმა,—თავისი თეორიით ორგანიულ მსოფლიოს კანონი აღმოაჩინა; კარლ-მარქსმა კი—თავისი კლასობრივი ბრძოლით, კაცობრიობის ისტორიის კანონი, რომელიც მდგომარეობს იმ მარტივ ფაქტში, რომ ხალხმა უწინარეს ყოვლისა, ჯერ საჭმლისათვის, საცხოვრებელ ბინისათვის, ტანსაცმლისათვის იზრუნოს და მხოლოდ შემდეგ შეუძლიან პოლიტიკით, მეცნიერებით, ხელოვნებით, რელიგიით და სხვა ამგვარებით მეცადინეობა. მაშასადამე, მატერიალურ საზრდოს შოვნა-მოპოება და საერთოთ წარმოების ურთიერთობა არა თუ იმ ხალხის, ამა თუ იმ ეპოქის შეადგენს ბაზისს (საძირკველს), რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფოს მართვა გამგეობა, უფლებრივი ნორმები, ხელოვნება, მეცნიერება და თვით რელიგიური (სარწმუნოებრივი) შეხედულობანი. როგორც ვხედავთ, მარქს-ენგელსის ისტორიული მატერიალიზმის თეორია, ნეტარ-ყენებულ ლუარსაბ თათქარიძის კუჭის ოძღვრება არ ყოფილა, როგორც ეს ოგიერთ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს ანიათ. ამ ჯურის „მეცნიერ-ფილოსოფოსებზე“ ენგელსმა სთქვა: ჩვეულებრივი ელისტერი ისტორიულ მატერიალიზმში ოლოდ ხეთქვას, ლოთობას, ფიზიკურ ცხრომას, თვალიხ სიამოვნებას, სასახლესებურ ფუფუნებას, ფულის გაღმერებას, სიძუნწეს, მოხვეჭის სურვილს, ებისადმი მისწრაფებას, ბირჟის ტყუილს და სხვა ამის მსგავს ჭუჭყიან თვისებებს გულისხმობს.

არქს-ენგელსი კი, როგორც ზევით, ლიან, რომ მატერიალური საზრდოს შოვნა-წარმოშობა ისტორიის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობენ, რომ საზრდოს შოვნა-გამრავლება მთავარი სამოძრაო ფაქტორია, როგორც თითოეულ ადამიანისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის, ე. ი. კაცობრიობის ისტორიის მოძრაობისთვის. მატერიალური საზრდოს შოვნა-შეძენა აუცილებლათ საწარმოვო წესით განისაზღვრება, თვით ეს საწარმოვო წესი კი, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გვარია, სხვადასხვა წესისაა. ამ წარმოების წესის მიხედვით კი იცვლება, რასაკვირველია, წარმოების ნაყოფიერება, წარმოების რაოდენობა. საზოგადოთ, წარმოების წესი, წარმოების ტექნიკა ევოლიუციის (განვითარების) კანონს ემორჩილება, ე. ი. თანდათან ვითარდება. საწარმოვო წესის განვითარების საშუალებით კი ადამიანი იმორჩილებს ფიზიკურ ბუნების ძალას და იყენებს თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ასე რომ, რამდენათაც ვითარდება და უმჯობესდება საწარმოვო ტექნიკა, საწარმოვო წესი, წარმოების იარაღები, იმდენათ ადამიანის ბატონობა ბუნებაზე ძლიერდება, იმდენათ უმჯობესდება მისი ყოფა-მდგომარეობა. პირველ-ყოფილი ადამიანი გარეულ ნადირისებურ სიღატაკეში იმყოფებოდა, იგი მთლათ უძლური იყო ბუნების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ჯერ არ ქონდა მას საკმარისათ შეგნებული თავისი ძალ-ღონის ვითარება. რასაკვირველია, ასეთი სულიერათ და ეკონომიურათ განუვითარებელი ადამიანი ჩვეულებრივ ძალიან ცოტათი კმაყოფილდება. იგი თავის განვითარების პირველ საფეხურზე აგროვებდა, რასაც თვით ბუნება დამზადებულს იძლეოდა, როგორც მაგ. ხილს, ძირიან მცენარეულობებოდა. მაგრამ ადამიანის განვითარებასთან ერთათ იზრდებოდა და მრავლდებოდა ადამიანის საზრდო და კომფორტი —(ყველა ის, რაც კი აფუფუნებს ადამიანის ბუნებას). მოთხოვნილების გაფართოება-გამრავლებასთან თან გაყოლით ვითარდებოდა ადამიანის წარმოების წესი, იზრდებოდა მისი ინტესიური მოქმედება. უკანასკნელი გარემოება კი, თავის მხრივ, იწვევდა ახალ იარაღების გამოგონებას—საწარმოვო ძალთა განვითარებას. მართალია, პირველ-ყოფილი ადამიანი, როცა იგი გამოცალკევებულათ (იზოლირენ) ცხოვრობდა, როცა იგი ინდივიდუალურ საზრდოს შოვნაზე იყო გადაგებული, მისი საწარმოვო ტექნიკა სრულიად დაბალ საფეხურზე იდგა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოება და საწარმოვო იარაღების განვითარება ერთი მეორესთან მჭიდროთ არის შეკავშირებული, ერთი მეორეს განსაზღვრავს. სწორეთ ამაში მდგომარეობს ადამიანთა საზოგადოების სპეციფიკური ხასიათი. თუმცა ცხოველთა სამეფოშიაც აქვს ადგილი ერთგვარ იარაღებს და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ საწარმოვო იარაღთა საზოგადოებრიობა მხოლოდ ადამიანთა კუთვნილებას შეადგენს, რომლითაც იგი განსხვავდება და მაღლა სდგას სხვა სულიერ არსებებზე. ბიოლოგიიდან ვიცით, რომ ყოველი ზოოლოგიური არსება, როგორც კი მას ცხოვრების ბუნებრივი პირობები შეეცვლება, მისი ბუნებრივი ორგანოებიათ რაიმე პაწია ორგანიულ ცვლილებას განიცდის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეეგუება ახალ პირობებს და აუცილებლათ ფიზიკურათ ისპობა. სულ სხვაგვარი სოციალური არსებაა ადამიანი: იგი პირობების შეცვლასთან ახალი პირობების მიხედვით ანვითარებს საწარმოვო წესს. მისი ფიზიკური ორგანიზმი კი სრულიად უცვლელი რჩება. ადამიანმა, მართლაც, მთელი საუკუნოების განმავლობაში ყოველგვარი გეოლოგიურ-კლიმატიური ცვლილება განიცადა, მრავალ სხვადასხვა ბრძოლის პირობებში იქნა ჩაყენებული, მაგრამ მისი ტიპი არსებითად იგივე დარჩა, რაც ის ათას-საუკუნოების წინ იყო, მას არავითარი ღირსშესანიშნავი ფიზიკური ცვლილება არ განუცდია. ვიმეორებთ, ადამიანის ორგანიზმის მაგიერ იცვლებოდა მისი საწარმოვო იარაღები. უკანასკნელის ცვალებადობა კი, როგორც კი მან გასაზოგადოებრიობის სტადიას მიაღწია, შემდეგში მისი განვითარება ძალიან სწრაფათ ხდებოდა *). მაშასადამე, მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანთა საზოგადოების ცვლა გამოწვეულია საწარმოვო ძალთა, საწარმოვო იარაღების განვითარებით; უკანასკნელი გარემოების მეოხებით კი ადამიანი ბატონდება ბუნებაზე, იზდება მისი ნივთიერი სიმდიდრე; ასე რომ, პირველ-ყოფილი ღარიბ-ღატაკი ადამიანი, საწარმოვო იარაღების განვითარების საშუალებით—თანდათან კრეზი ხდებოდა.

თუ ჩვენ მორგანთან ერთათ კაცობრიობის პირველ-ყოფილ ისტორიის სხვადასხვა ხანებს განვიხილავთ უსათუოთ შევნიშნავთ, რომ კაცობრიობის ველურ მდგომარეობის პირველი საფეხური ჩვეულებრივ ხასიათდება ენის განვითირებით, ცეცხლის აღმოჩენით და შვილდ-ისარის გამოგონებით შვილდ-ისარი თავის დროს რთულ კონსტრუქციის საწარმოვო იარაღს შეადგენდა, რომლის გამოგონებას, რასაკვირველია, წინ უძღოდა მთელი რიგი გამოცდილებისა, ერთნაირი გონების განვითარება დასახელებულ საფეხურზე უკვე მოსჩანს ადამიანის ბატონობა წარმოებაზე.

კაცობრიობის მეორე საფეხური, ეგრეთ წოდებული ბარბაროსული ხანა დახასიათდება, ცხოველების მოშინაურებაში, მცენარეულობის მოყვანით, შენობაში ქვის და აგურის ხმარებით. ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე უკვე ვხედავთ ლიმონის იარაღებს, ვხედავთ, როგორც მაგ. რკინის ცულს, ნიჩაფს, ხმალს, შუბს, ფარს და სხვა რკინეულობის ნივთებს, აგრეთვე ნავებს სხვადასხვა ტეხნიკურ მოწყობილებით, მარმარილოს ტაძრებს... ამავე ხანამ მოგვცა ჰომერის „ილიადა და ოდისეი“, საცა აშკარათ მოსჩანს იმ დროის მაღალი გონებრივი განვითარება. მაშასადამე, როგორც სჩანს, ადამიანი და საერთოთ, მთელი კაცობრიობა უბრალო ბრმა იარაღი არ ყოფილა საწარმოვო მექანიზმის, როგორც ეს ბევრს ეჩვენება, პირიქით, მისი პროგრესიული განვითარება მუდამ მისი ბუნებაზე ბატონობაში გამოიხატება. ადამიანის გონება-ნიჭი ვითარდება და იფურჩქვნება მატერიალურ წარმოების ნიადაგზე და მისი განვითარება შეკავშირებულია მასთან, აზრი კი არ ქმნის წარმოების წესს, არამედ, თითონ იგია წარმოების წესის ნაყოფი და ეს დამოკიდებულება ადამიანის აზრის და საწარმოვო ტეხნიკას შორის უფრო ნათლათ და აშკარათ კაცობრიობის პირველ-ყოფილ მდგომარეობაში გამოსჩვრეტს.

შ.

(დასასრული იქნება)

---

*) მორგანი: „პირველ-ყოფილი საზოგადოება“

ლმა წაიღო, ხოლო ქალი ძლივს-ღა გადაარჩინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვი იპოვნეს მკვდარი. ვინ იცის, კიდევ რა მოხდებოდა, რომ წვიმა არ შეწყვეტილიყო. ზარალის გამორკვევა ჯერ ყოვლათ შეუძლებელია. უმთავრესათ დაზარალდა ღარიბი ხალხი.

✦ **ტრამვაის მოსამსახურეთა დასჯა.** თფილისის ტრამვაის დირექციამ კონტროლიორობიდან ჩამოაყენა რამდენიმე კანტროლიორი და წინადადება მისცა მათ კონდუქტორათ იმუშაონ, ან-და სამსახურს თავი დაანებონ. ეს განკარგულება გამოიწვია კონტროლიორ ბილიხოძის მოხსენებამ, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონტროლიორები ვერ ადევნებენ თვალყურს იმ მგზავრებს, რომლებიც უფასო ბილეთებით სარგებლობენ და დადიან ისეთი პირები, რომელთა ბილეთებს ვადა გასული აქვსო.

✦ **მატარებლის გადავარდნა.** 17 სექტემბერს სად. სამაშკინ-სერნოვოდიდან ბალაჯარაში მიმავალი ჩქარი მატარებელი № 10 გადასცდა ლიანდაგს და გადავარდა სამი ვაგონი და ორთქლმავალი. მგზავრებიდან მსუბუქათ დაშავებულა 15 კაცი. როგორც ირკვევა, გზა განზრახ ყოფილა გაფუქებული 50 საჟ. სივრცეზე. („კ.“).

✦ **დასის შედგენა.** ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ 18 სექტემბრის კრებაზე საბოლოოთ გადასწყვიტა საკითხი მომავალ სეზონისთვის დასის შედგენის. დასში უმთავრესათ მოჰყვენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, მ. მდივანი, ლეჟავა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, შათირიშვილი, ი. იმედაშვილი, მატარაძე და სხ. გასტროლებზე კი მოწვეული იქნებიან ქ-ნნი: ა. ჩირგაძე, გაბუნია-ცაგარელი, ნ. ჩხეიძე და ნ. დავითაშვილი; ბ-ნნი: კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, პ. ქავთარაძე, შ. შარაშიძე და სხ. რეჟისორის თანაშემწეთ კრებამ აირჩია ვ. ურუშაძე.

✦ **ა. მატინოვის გვამი** დარჩება ბათუმში 26 სექტემბრამდე. 26 სექტემბერს კი, დილის მატარებლით ჩამოასვენებენ თფილისში და დაკრძალავენ კვირა დილით ვანქის სასაფლაოზე.

✦ **გამოფენა.** სოჭის სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა გამართოს სოფლის სანოვაგეთა გამოფენა. ერთი გამოფენა მოხდება სოფ. ადლერში, ხოლო მეორე—სოჭაში. გამოფენა გაგრძელდება 3—4 დღეს. (ბ.“)

✦ **შეპყრობა.** 18 სექტ. მე-11 საპ. ნაწილში პოლიციამ შეიპყრო საგენერ.-გუბ. ადმინისტრატიული წესით გაგზავნილი თფილისის მოქალაქე სტეფანე ფურდეინი.

✦ **სხვადასხვა ამბები.** თფილისის გუბერნატორის განკარგულებით სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა ათ-ათი მანეთით ან 5 დღით დაპატიმრებით თფილისის მცხოვრები გიორგი ხელაევი და ლევან ს. მაჩაიძე, რომლებმაც უქმე დღეს არ დაკეტეს თავიანთი დუქნები. მისივე განკარგულებით 10 მან. დააჯარიმეს ივანე მჭედლიძის სახლის მდგმური კოზმა ხუხუნაიშვილი, რადგანაც მან არ გააგებია სახლის პატრონს ბენიამინ დოლიძის ვინაობა, რომელიც მის ოთახში დაბინავდა.

✦ **უპასპორტოები.** 18 სექტ. მე 6 საპ. ნაწილში ჩხრეკის დროს დაპატიმრეს 11 კაცი, ხოდა მე 8 საპ. ნაწილში—40 კაცი. ამ უკანასკნელთა შორის ორი ადმინისტრაციული წესით გადასახლებულნი.

ᲝᲠᲘᲝᲚᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲖᲔ.

(ისტორიული შენიშვნა)

(გაგრძელება).

პირველი ინგლისის ეკონომისტი, რომელსაც ჩვენ ვუხებით არის ადამ სმიტი. ისტორია მას ეძახის „ბურჟუაზიულ წარმოების ბუდბუდს“. თუ სიფრანგეთის ფიზიოკრატები ბურჟუაზიული, მომავალი საზოგადოების იდეური კამამხატველი და მტარებელი იყვენ, ადამ სმიტი ამ წესწოობიდებას უკვე ხედავდა კანონიერებულებულს, მასთან ის ხედავდა, რომ წარმოების განვითარება ბურჟუაზიულ დამოკიდებულობის ფორთის ქვეშ უმჯობესს წერტილამდის ავიდა და, მისი სამშობლო, ინგლისი, მოწინავე ქვეყნათ გახდა, კულტურის და ცივილიზაციის მატარებელი. რა გასაკვირველია, თუ სამშობლოს შვილი ადტანებაში მოდიოდა და ახალი წარმოების „ბუდბუდი“ გახდა. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოების ახალი წესი მასი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეოველ ანტაგონისტურ საზოგადოებაში ისე გვეხატება, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი. ის ამ დროს არ გაგს ახალად დაბადებულ ბავშვს, რომელსაც სახეზე ეტყობა „შობის მწუხარების“ იარები და რომელსაც დიდი მოვალეობა სწერია, რომ რაც არ ეტკინოს და მას არ გაანაგვენ. ის არ გაგს არც იმ დახანულებულ ბებერს, რომელსაც „ჭკუა გამოდგა“ ესე იგი, ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი გამხდარა და ავგერ-ავგერ მიიძინებს. ახალი წარმოება დაგვაკვირდების ხანაში ჩვენ წინ დგას, როგორც ძალდონით სავსე გმირი და იწვევს ჩვენს ადფრთოვანებას. სწორეთ ამნაირ ხანას განიცდიდა კაპიტალისტური წარმოება სმიტის დროს. კრიზისი, როგორც მასსიური მოვლენა, მაშინ უცნობი ხ

დი იყო და, როგორც არა ტიპიური მოვლენა, მას არც კი შეხებია დიდებულ ეკონომისტი. და თუ რამე არეულ-დარეულ ხდებოდა წარმოებაში, ამას სმიტი იურიდიულ მიზეზებს ეძებდა და ამით ხსნიდა. თუ სიფრანგეთის ფიზიოკრატები თავისუფლებას თხოულობდენ ფეოდალურ უღლიდან, ბატონების მუშტიდან წარმოების განვითარების სახელით, ადამ სმიტი, როგორც დონიერი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, თხოულობდა, რომ სახელმწიფო არ ჩარეულიყო ეოველგვარ წარმოების მხარეში და სანამდის ეს არ იყო განხრციელებული, ზოგიერთ არეულ-დარეულს წარმოებაში ის ამ ჩარევას ებრძოდა. როგორც ვხედავთ, სმიტი ამ მხრივ ისე, როგორც მისი იდეიური მეგობრები, ფიზიოკრატები, ცოტა არ იყოს მოიანარქისტებდა. ჩვენ ზევით ვოქვით, რომ სანამდეიდე არ აძლევდა სმიტს ნებას დაესვა კითხვა კრიზისებზე ფართოთ და თუნდაც რომ დაესვა მას ეს კითხვა, ცხადია, რომ ის ვერ მისცემდა საბუთიან პასუხს. როგორც სმიტი ფიქრობდა, ფულის უმთავრესი დანიშნულება კაპიტალისტურ წარმოებაში იყო მისი ფუნქცია, როგორც გაცვლა-გამოცვლის იარდის. მაგალითად, ეკველა საქონლის პატრონი ხედავს მის წინაშე მეორე საქონლის პატრონს და ისინი სცვლიან ამ საქონელს ფულის წყალობით. ამ აზრს უფრო მკაფიოთ გამოხატავს მეცხრამეტე საუკუნის ეკონომისტი ბაპტისტ სეი, როდესაც ამბობს: „რადგანაც ნიგთს ყიდიან ნიგთზე, ეოველივე საქონელი მით უფრო ადვილათ ეოფდობს მეიდგელს, რაც მეტია სხვა საქონელი... ფული ამ გაცვლა-გამოცვლაში თამაშობს დროებითი როლს. მას შემდეგ, რაც ერთმა გაყიდა ის, რაც გააკეთა. და იყიდა ის, რაც მას სჭირია, გამოდის, რომ ნიგთი იცვლებოდა ნიგთზე. როგორც ხედავთ, ათეოეული ადამიანის ინტერესია ეკელასი კეთილ დდეობა და წარმოების ერთი დარგის აყვავება ხელს უწყობს სხვა დარგის წარმოების აყვავებასაც“. ასე გადობს ბაპტისტ სეი. გამოდის, რომ კრიზისი, როგორც მასსიური ეკონომიური მოვლენა, მასთან აუცილებელი კაპიტალისტურ წარმოებაში—შეუძლებელია. ასევე იტეოდა მისი მასწავლებელი ადამ სმიტიც. რაში სცდებოდენ ისინი? კარლ მარქსმა ბრწყინვალეთ თავის ეკონომიურ ნაწარმოებში შენიშნა ეს შეცდომა. ის მდგომარეობს შემდეგში: მართალია ის, რომ, როდესაც ერთ საქონელს ყიდიან, მეორეს ეიდულობენ. მაგრამ ჩვენ რიდი ვცხოვრობთ ამისთანა მარტივ ბირობებში. ჩვენში არავინ არ არის გადებული, რომ გაყიდოს საქონელი, ფული აიღოს და მაშინვე მეორე საქონელი იყიდოს. ვსთქვათ, ჯვარედმა ბლეხმა გაყიდა ჯოგი ცხვარი და აიღო ორასი მანეთი. მას მოადის „საღდათობა“ მომავალ წელიწადში. ის, რასაკვირველია, რომ ახალ საქონელს არ შეიძენს და თავის ორას მანეთს ერთ ჭუჭრუტანაში შეინახავს, რომ მიართვას ვინმეს და თავი იხსნას საღდათობიდან. ცხადია, ბაპტისტ სეი და სმიტი არ არიან მართალნი, როდესაც ამბობენ, რომ ფული მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის იარაღია. როგორც ვხედავთ, ფული ქრთამის იარადიც ეოფილა.

ინგლისის მეორე დიდებული ეკონომისტი, კლასიკური სკოლის ნამდვილი დედაბოძი დავით რიკარდო, უკვე არ იყო ცოცხალი, როდესაც კაპიტალისტურ წარმოებას ეწვია პირველი დიდი ეკონომიური კრიზისი (1825 წ. *). რიკარდო, როგორც მისი წინამორბედი ადამ სმიტი ფიქრობდა, რომ კრიზისი, როგორც მასსიური და აუცილებელი მოვლენა შეუძლებელი იყო კაპიტალისტურ წარმოებაში, რადგანაც ამ მეცნიერის აზრით დღემდის იკვებება კაპიტალისტურ წარმოების დამცველები, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მისი აზრი მკითხველს ცოტათ თუ ბევრათ ფართოთ, რამდენათ ეს შესაძლებელია ბატარა წერილში. მისი აზრით, კრიზისი შეუძლებელია პირველათ იმიტომ, რომ საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე განისაზღვრება მისი წარმოებით. ეოველივე საქონელი ბაზარზე იცვლება მეორე საქონელზე (როგორც მკითხველიც ხედავს ამასვე ამბობდა შემდეგ ბურჟუაზიის ვექილი ბაპტისტ სეი). რომ უფრო კაკვიგოთ რიკარდოს აზრი, მოვიყვანოთ მაგალითი: რომელიმე მეფურნე აცხობს ბურს და ყიდის ბაზარზე, სადაც მეფეველთ კამოდის მეხეკმე, რომელიც ნაცვლათ ბურისა უთავაზებს მეფურნეს ფეხსაცმელს. როდესაც მეფურნე სცვლის ბურს ჩექმებზე, ის ამით კამოხატავს თავის სურვილს, იქონიოს ჩექმები. იგივე ხდება მეჩექმის მხრითაც, როდესაც ის ყიდულობს ბურს. ვთქვათ, ეკელა მეჩექმეს აქვს ბური, ან-და მებურეს ერთი წყვილი ჩექმები ეყოფა, ხოდა ბური კიდევ ბევრი აქვს გასაყიდი. ეს არაფერ კაჭირვებას არ წარმოადგენს რიკარდოს აზრით, რადგანაც მეჩექმის კარდ მებურეს კიდევ ბევრი აქვს მუშტარი: მეხორცე, მეხიდე, მეთოხტნე და მრავალი სხვა, მაგრამ მოხდა ისე, რომ არავინ გამოჩნდა მეიდგელი და მებურეს ბურები უხმება. რის მიზეზია ეს? Tant pis! მით უარესი მებურისთვის,—ამბობს რიკარდო, თუ ის კეიტდის კრიზისს, ეს ისევ მებურის ბრალია. იმან არ იხეკმიდვანელა ნამდვილი ვაჭრული ინკარიშით. იმას უნდა მოეხმარა მისი ფული და შრომა იმდენი საქონლის დასამზადებლათ, რამდენსაც მოითხოვდა საზოგადოება. მებურის უცოდინარობა სრულ-ადაც არ არის აუცილებელი მოვლენა წარმოებაში და მით უფრო მასსიური. მაშასადამე, ამ მიზეზის გამო კრიზისი წარმოებაში შეუძლებელია.

ბ. თეკლათელი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ სიმართლის ღასადგენათ დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „მომავალში“ ამ პატარა წერილს ადგილი.

„მომავალის“ № 17 მოთავსებულია წერილი ბ. ნატროსი, რომელიც ეხება გაზეთების აგენტურის საქმეს თელავში. ის შამტყუნებს მე—ვითომ არა-კეთილ სინდისიერათ ვექცევი თელავის აგენტს. როგორც სჩანს ბ. ნატროს ამ აგენტურის საქმის არაფერი არ გაეგება-რა. არ იცის ალბათ მან, რომ სანამ ჩვენ წინდაწინ გაზეთის ფულს არ მივიღებთ, მანამდის გაზეთს არავის არ ვუგზავნით—კერძოთ ბ. ონიკაშვილის შესახებ მოვახსენებ ბ. ნატროს, რომ მას მართებს დღეს აგენტურის 49 მ., 48 კაპ. ამ წლისა. წარსული წლის კიდევ წიგნების 14 მ. 54 კაპეიკი. სულ 64 მ. 2 კ. ჩვენ ონიკაშვილს არ ვიცნობდით და თავდები მოვთხოვეთ. თავდებათ „დროების“ რედაქცია დადგა. ჩვენ გაზეთებს და წიგნებს ვუგზავნიდით. ხშირათ ვთხოვდით ანგარიშს და მის მაგიერ ფული რომ გამოეგზავნა, ლანძღვის წერილები მოგვდიოდა. „მეო“, იწერებოდა ონიკაშვილი—იაკარი ნუკი გგონივარ, იდეებს და პრინციპებს ვემსახურები და ჩემთან აგრე არ უნდა მოიქცე ფულის გულისთვის, გაზეთი არ უნდა შემიჩეროვო ეს სირცხვილი იქნება შენიო და სხ. (წერილები შენახული მაქვს). უკანასკნელათ ამ ნაირი წერილი რომ მივიღე „დროების“ რედაქციას შევატყობინე. არ ესიამოვნათ, მაგრამ, რას იზამდენონ—გან ფულის მაგიერ, „პრინციპებით და იდეებით“ სავსე წერილი მომდიოდა. დავრწმუნდი, რომ პრინციპების მეტი ონიკაშვილს არაფერი ელანდებოდა და გადავწყვიტე სამუდამოთ შემეწყვიტა მასთან კავშირი, რადგან ჩვენ კამერციულ გზას ვადგავართ და კამერციაში არავითარი პრინციპები და იდეები არ გადის გარდა თვით კამერციისა. ეს ჩვენ ონიკაშვილს ვაცნობეთ და მასთან „დროების“ რედაქციას. დროების რედაქციამ ამ ფულიდან გადიხადა ჯერ-ჯერობით 30 მან. დარჩენილია კიდევ გადასახდელი 34 მ. 2 კ. ონიკაშვილმა თუ ეს ფული „დროების“ რედაქციას თავის დრომდე არ გამოუგზავნა ეს ფულიც „დროების“ რედაქციის გადასახდელათ დარჩება—გვაქვს ონიკაშვილის რამდენიმე წერილი სადაც ის არ უარყოფს რომ მას ჩვენი ფული მართებს მხოლოდ გვთხოვს რომ მ ს ვაცალოთ გადახდა—ამ რიგათ აშკარა საქმეა რომ ონიკაშვილს ჩვენი ფული მართებს—და არ იძლევა— და როცა არ იძლევა განა შეესაძლებელია კიდევ გაზეთების გაგზავნა? მე რედაქციებს ფული არ მივსცე და ისეთივე პრინციპებით გავიმართლო თავი, როგორც ამას ონიკაშვილი სჩადის?

დასასრული არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს რომ სანამ ფული არ იქნება გაზეთებისთვის გამოგზავნელი წინდაწინ მანამდის გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნით. თელავიდგან ამ ეამათ არის ფული გამოგზავნილი და გაზეთებიც მიდის. როცა ფული გამოილევა გაზეთების გაგზავნაც მოისპობა.

მ. გაჩეჩილაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

განცხადებანი

ᲔᲠᲜᲘᲡ ᲥᲣᲠᲗᲣᲚᲘ
ს. ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 50—23

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲗᲐ

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—5 საათამდის. (0—თ—13)

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **ხაშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტექნიკის, რეალურ, საქალებო** და **საკვაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის.** ამზადებენ **ოოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხ-ჩინზე.**

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულიად არ იციან. მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც.**

ამ ეზოშივე გ. მოცარტილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალო